დეპრესიული სიმპტომების პროგნოზირება: ცხოვრების საზრისი, თვითშეფასება და სიკვდილის შიში

გიორგი ტყემალაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მაყაშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ტყემლაძე

აბსტრაქტი

მსოფლიოში არსებული ბოლოდროინდელი ვითარება დეპრესიის ეპიდემიოლოგიის კუთხით უამრავი ფსიქოლოგის, ფსიქიატრისა თუ მკვლევრის ინტერესის საგნად იქცა. დეპრესიისას ადამიანი ერთდროულად უამრავი სტრესორის ზემოქმედებას განიცდის, რაც ორგანიზმს მეტად მოწყვლადს ხდის და შესაძლებელია, ამან სხვა დაავადებების პროვოცირებასაც შეუწყოს ხელი. დეპრესიის გამომწვევად შეგვიძლია მრავალი ფაქტორი განვიხილოთ. კვლევებით დასტურდება, რომ დეპრესიის პრედიქტორების გამოვლენას მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება ჰქონდეს დაავადების პრევენციაზე. წინამდებარე ნაშრომი საქართველოში დეპრესიის სხვადასხვა ცვლადებთან მიმართებით შესწავლის კიდევ ერთი მცდელობაა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმის გაგება, თუ რომელი ფსიქოლოგიური მახასიათებელი წინასწარმეტყველებს დეპრესიულ სიმპტომებს. კვლევის ფარგლებში დეპრესიასთან მიმართებით შემოწმდა შემდეგი პრედიქტორები: ცხოვრების საზრისის არსებობა, საზრისის ძიება, თვითშეფასება და სიკვდილის შიში. მონაწილეობა მიიღო 100-მა ადამიანმა და მონაცემები ხელმისაწვოდმი შერჩევიდან შეგროვდა. დასკვნები მიუთითებს, რომ თვითშეფასება და ცხოვრების საზრისის არსებობა დეპრესიული სიმპტომების უარყოფითი პრედიქტორია. არ დადასტურდა ჰიპოთეზები, რომ საზრისის ძიება და სიკვდილის შიში დეპრესიული სიმპტომების დადებითი პრედიქტორი იქნებოდა, რაც, შესაძლოა, ინსტრუმენტში შემავალი კითხვების მსგავსებით იქნა განპირობებული. კვლევაში მიღებული დასკვნები განხილულია წინარე ლიტერატურაზე დაყრდნობით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დეპრესიული სიმპტომები, ცხოვრების საზრისის არსებობა, ცხოვრების საზრისის ძიება, თვითშეფასება, სიკვდილის შიში.

Abstract

The recent situation in the world in terms of the epidemiology of depression has become the subject of interest of many psychologists, psychiatrists and researchers. During depression, a person is exposed to a lot of stressors at the same time, which makes the body more vulnerable, and it is possible that this can contribute to provoking other diseases. We can consider many factors to cause depression. Research shows that identifying predictors of depression can have a significant impact on disease prevention. The present work is another attempt to study depression in Georgia with respect to different variables. The aim of the study is to understand which psychological characteristics predict depressive symptoms. Within the framework of the study, the following predictors were tested in relation to depression: presence of meaning in life, search for meaning, self-esteem and fear of death. 100 people participated and the data was collected from available sampling. Findings indicate that self-esteem and having a sense of life are negative predictors of depressive symptoms. In addition, the hypotheses that search for meaning in life and fear of death are positive predictors of depressive symptoms were not confirmed, which may have been due to the similarity of the questions included in the instrument. The findings of the study are discussed based on previous literature.

Keywords: depressive symptoms, the meaning of life Quest, Presence of meaning, self-esteem, fear of death.